ადრეული ინკლუზიური განათლების ორგანიზაციული გამოწვევები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ორი ბაღის მაგალითზე

თამარ ტაბიძე

მაგდანა შანავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ტაბიძე

მაგდანა შანავა

2018 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენდა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში ორგანიზაციული საკითხების შესწავლა ადრეული განათლების დაწესებულებაში. ამისათვის, კვლევა ჩატარდა ორ საბავშვო ბაღში, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ინკლუზიური განათლების დანერგვის გამოცდილებით. კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენდა ბაღებში არსებული დოკუმენტაციის სიღრმისეული შესწავლა, ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარება სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის მეშვეობით შედგენილი კითხვარების გამოყენებით, ბაღების ადმინისტრაციასთან და შიდა სპეციალისტებთან. ასევე ფოკუს-ჯგუფის ჩატარება, ტიპიური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან, მათი ჩართულობის ხარისხის გასაზომად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადრეული განათლების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ეფექტურად დანერგვისათვის, აუცილებელია დაწესებულებას გააჩნდეს ორგანიზაციული კულტურა, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებული იქნება მკაფიო პოლიტიკა და ერთსულოვანი ხედვა ინკლუზიური განათლების მიმართულებით. იმისათვის, რომ ბაღებში ცვლილებები განხორციელდეს, შევიმუშავეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სკოლამდელი ინკლუზიური განათლება; ორგანიზაციული კულტურა; მშობელთა ჩართულობა.

Abstract

The research question of this Master's thesis is to study the organizational issues of inclusive care in early education service providers. For this reason, the research was implemented in two kindergartens which differ from each other by the experience of establishing inclusive education. The research methods used were: studying the kindergarten documentation, in-depths interviews by the questionnaires prepared in accordance with the state standards of the pre-school education. The interviews were organized with kinder-gardens' administration, focus-groups with internal-specialists and with parents of children with disabilities in order to measure their involvement quality. As a result of the research, in order to effectively establish the inclusive education, it is necessary for the organization to have organizational culture, which will determine the clear policy and joint vision about the inclusive education. In order to make changes in the kindergartens, we have developed appropriate recommendations.

Key words: "early inclusive education", "organizational culture", "Parent involvement"

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს, ქ. ხათუნა დოლიძესა და თანახელმძღვანელს ქ. ნინო გოგიჩაძეს ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, მოწოდებული რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართული ბაღების დირექტორებს, რომლებმაც დაგვრთეს ნება, რომ ჩაგვეტარებინა კვლევა აღნიშნულ ბაღებში. ასევე ადმინისტრაციის წევრებს, ბაღის სპეციალისტებს, ფოკუს ჯგუფში მონაწილე მშობლებს, ინფორმაციის გაზიარების, აქტიური მონაწილეობის მიღებასა და ეფექტიანი თანამშრომლობისათვის.